სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
რექტორის საარჩევნო კომისიის
(რექტორის მ/შ 07.09.2016 ბრძანება №149/01–01)

სხდომის ოქმი №1
09 სექტემბერი, 2016 წ. (17:00 სთ)

დღის წესრიგი

1. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის საარჩევნო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ

დ. ეგნატაშვილმა კომისიას წარუდგინა სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის საარჩევნო კომისიის დებულების პროექტი. კომისიას უნდა მიეღო გადაწყვეტილება მისი დამტკიცებისა და გამოქვეყნების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს:

დამტკიცდეს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის საარჩევნო კომისიის დებულება (დანართი №1) და გამოქვეყნდეს იგი თსუ ოფიციალურ ვებგვერდზე.

2. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ

გ. ხასიამ კომისიას წარუდგინა წინადადება სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ დ. ეგნატაშვილის არჩევის შესახებ. კომისიას კენჭი უნდა ეყარა აღნიშნული საკითხისათვის.

კენჭისყრის შედეგები:

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს:

დამტკიცდეს დ. ეგნატაშვილი სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ.

3. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის საარჩევნო კომისიის მდივნის არჩევის შესახებ

დ. ეგნატაშვილმა კომისიას წარუდგინა წინადადება სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის საარჩევნო კომისიის მდივნად გ. ხასიას არჩევის შესახებ. კომისიას კენჭის უნდა ეყარა აღნიშნული საკითხისათვის.

კენჭისყრის შედეგები:

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს:

დამტკიცდეს გ. ხასია სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის საარჩევნო კომისიის მდივნად.

4. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის არჩევნებში კანდიდატად რეგისტრაციის თაობაზე 2016 წლის 09 სექტემბრის 17:00 საათამდე შემოსული განცხადებების განხილვის შესახებ

დ. ეგნატაშვილმა კომისიას წარუდგინა 2016 წლის 09 სექტმებრის 17:00 საათამდე მიღებული ორი განცხადება სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის არჩევნებში კანდიდატად რეგისტრაციის მოთხოვნით. კომისიას უნდა შეემოწმებინა თითოეული განცხადების შესაბამისობა კანონმდებლობასთან, თსუ წესდებასა და აკადემიური საბჭოს დადგენილებებთან. ასევე, მიზანშეწონილი იყო განცხადებების განხილვა მათი კანცელარიული მიღების თანმიმდევრობის დაცვით. კომისიას თითოეული განცხადების საკითხისათვის ცალ–ცალკე უნდა ეყარა კენჭი.

კენჭისყრის შედეგები:

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს:

(ა) გ. ბარამიძე (განცხადება №30268/02, 09.09.2016) – წარმოდგენილია ყველა სავალდებულო დოკუმენტი და თანხმობა ეთქვას განმცხადებელს კანდიდატად რეგისტრაციის მოთხოვნაზე.
(ბ) პ. კერვალიშვილი (განცხადება №30400/02, 09.09.2016) – განცხადება არ აკმაყოფილებს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-40 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნას, რომლის მიხედვითაც „სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციულ თანამდებობაზე არ შეიძლება არჩეულ ან დანიშნულ იქნეს 65 წელს მიღწეული პირი“. აღნიშნული ნორმისაგან გამონაკლისი წესი პირდაპირ უნდა იყოს გათვალისწინებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით, რაც ამ შემთხვევაში სახეზე არ არის და ამდენად, მოცემული საფუძვლით, უარი ეთქვას განმცხადებელს კანდიდატად რეგისტრაციის მოთხოვნაზე.

თავმჯდომარე /დ. ეგნატაშვილი/

მდივანი /გ. ხასია/

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობისთბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის საარჩევნო კომისიის

(რექტორის მ/შ 07.09.2016 ბრძანება №149/01–01)

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

თ ა ვ ი I. ზ ო გ ა დ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ე ბ ი

მ უ ხ ლ ი 1. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (აღნიშნული, როგორც „თსუ“) რექტორის არჩევნების ჩატარების ტექნიკური უზრუნველყოფის მიზნით თსუ–ის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2016 წლის 7 სექტემბრის №149/01–01 ბრძანებით დამტკიცებული საარჩევნო კომისია (აღნიშნული, როგორც „საარჩევნო კომისია“) ახორციელებს რექტორის არჩევნების საორგანიზაციო, პროცედურულ და ტექნიკურ უზრუნველყოფას.

მ უ ხ ლ ი 2. საარჩევნო კომისია ვალდებულია, არჩევნები ჩაატაროს საქართველოს კანონმდებლობის, თსუ–ის წესდების, ინდივიდუალური სამართლებრივი აქტებითა და ამ დებულებით განსაზღვრული წესების შესაბამისად. საარჩევნო კომისია უფლებამოსილია, მიიღოს ნებისმიერი გადაწყვეტილება არჩევნების საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით.

მ უ ხ ლ ი 3. საარჩევნო კომისია უზრუნველყოფს რექტორის არჩევნების ჩატარებას სამართლიანობისა და გამჭვირვალობის პრინციპებიდან გამომდინარე. რექტორის არჩევნებთან დაკავშირებული ყველა პროცედურა საჯაროა, თუ ეს ხელს არ შეუშლის არჩევნების მიმდინარეობას, საარჩევნო პროცედურებს, საარჩევნო კომისიის მუშაობას და მასზე დასწრების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, ამ დებულებით განსაზღვრული წესით.

მ უ ხ ლ ი 4. დაუშვებელია ისეთი ადმინისტრაციული აქტის მიღება, რომელიც ზღუდავს არჩევნებში მონაწილე კანდიდატთა და ამომრჩევლის ნების თავისუფალ გამოვლინებას ან არღვევს არჩევნების მონაწილეთა თანასწორობას.

თ ა ვ ი II. ს ა ა რ ჩ ე ვ ნ ო კ ო მ ი ს ი ი ს მ უ შ ა ო ბ ი ს წ ე ს ი დ ა უ ფ ლ ე ბ ა მ ო ს ი ლ ე ბ ა

მ უ ხ ლ ი 5. საარჩევნო კომისია უფლებამოსილია ჩაატაროს სხდომა, თუ მას ესწრება წევრთა საერთო რაოდენობის უმრავლესობა.

მ უ ხ ლ ი ს 6. საარჩევნო კომისია გადაწყვეტილებას იღებს ხმების საერთო რაოდენობის უმრავლესობით, თუ ამ დებულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მ უ ხ ლ ი 7. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, რომელსაც ირჩევს საარჩევნო კომისია:

ა) იწვევს და ხელმძღვანელობს საარჩევნო კომისიის სხდომებს;
ბ) ხელს აწერს საარჩევნო კომისიის სხდომის ოქმს;
გ) საჭიროების მიხედვით, უზრუნველყოფს საარჩევნო კომისიის სხდომების დანიშვნას, განსაზღვრას მისი ჩატარების დროსა და ადგილს;
დ) უზრუნველყოფს საარჩევნო დოკუმენტაციისა და მასალების მომზადების კონტროლს;

ე) კენჭისყრის დღეს უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას;
ვ) ახორციელებს მის კომპეტენციაში შემავალ სხვა უფლებამოსილებებს.

მ უ ხ ლ ი 8. საარჩევნო კომისიის მდივანი, რომელსაც ირჩევს საარჩევნო კომისია:
ა) ადგენს საარჩევნო კომისიის დღის წესრიგს და სხდომის ოქმებს;
ბ) რეგისტრაციაში ატარებს საარჩევნო კომისიაში შემოსულ კორესპონდენციას;
გ) რეგისტრაციაში ატარებს არჩევნებში მონაწილეობის მსურველ კანდიდატებს და აძლევს მათ შესაბამის მოწმობებს;
დ) საარჩევნო კომისიის წევრებს უზრუნველყოფს საჭირო მასალებითა და დოკუმენტებით;
ე) რექტორის არჩევნების დასრულებამდე ინახავს საარჩევნო კომისიის მუშაობასთან დაკავშირებულ მასალებს;
ვ) ადგენს არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმს, რომელსაც ხელს აწერენ საარჩევნო კომისიის წევრები;
ზ) ასრულებს თავმჯდომარის იმ დავალებებს, რომლებიც საარჩევნო კომისიის მუშაობასთანაა დაკავშირებული;
თ) ასრულებს თავმჯდომარის უფლებამოსილებას, მისი არყოფნის შემთხვევაში;
ი) ახორციელებს მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მ უ ხ ლ ი 9. საარჩევნო კომისიის სხდომის ოქმში უნდა დაფიქსირდეს სხდომის თარიღი, ადგილი, დამსწრე პირთა ვინაობა, დღის წესრიგი, განხილული საკითხების შინაარსი და კენჭისყრის შედეგი. საარჩევნო კომისიის სხდომის ოქმებს ხელს აწერენ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.

მ უ ხ ლ ი 10. საარჩევნო კომისია უფლებამოსილია დააყენოს საარჩევნო კომისიის წევრის ანაზღაურების დაქვითვის საკითხი, თუ საარჩევნო კომისიის წევრი არ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს.

მ უ ხ ლ ი 11.
1. საარჩევნო კომისია განიხილავს შემოსულ კორესპონდენციებსა და საჩივრებს, თუ ისინი უკავშირდებიან რექტორის არჩევნების საორგანიზაციო, პროცედურულ ან ტექნიკურ საკითხებს.
2. საჩივარი უნდა შეიცავდეს შემდეგ რეკვიზიტებს:
ა) საჩივრის შემტანი პირის სახელი, გვარი, ტელეფონის ნომერი და მისამართი;
ბ) საჩივრის შემტანი პირის სტატუსი (კანდიდატი/წარმომადგენელი, ამომრჩეველი, დამკვირვებელი);
გ) დარღვევის შინაარსი;
დ) მოწმეების ვინაობა (იმ შემთხვევაში, თუ არსებობენ მოწმეები, რომლებიც დაადასტურებენ ამ ფაქტობრივ გარემოებას);
ე) საჩივრის შემომტანი პირის მოთხოვნა;
ვ) საჩივრის შემომტანი პირის ხელმოწერა და თარიღი.

მ უ ხ ლ ი 12. საარჩევნო კომისია წყვეტს რეგისტრირებული კანდიდატის წარმომადგენლის, სადამკვირვებლო ორგანიზაციის, სტუდენტური ორგანიზაციებისა და დამკვირვებლების აკრედიტაციის საკითხს. დაინტერესებულმა პირებმა საარჩევნო კომისიას უნდა მიმართონ განცხადებით არაუგვიანეს 2016 წლის 22 სექტემბრის 13:00 საათისა, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, საკონტაქტო ინფორმაცია და ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებს მათ წარმომადგენლობით უფლებამოსილებას. საარჩევნო კომისიის მდივანი გასცემს

აკრედიტაციის დამადასტურებელ დოკუმენტს. მედია საშუალებების განთავსებისა და აკრედიტაციის საკითხს წყვეტს საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ან/და მდივანი გამარტივებული წესით, სათანადო მოწმობის წარდგენის საფუძველზე.

მ უ ხ ლ ი 13. საარჩევნო კომისია ვალდებულია შეიკრიბოს საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ საარჩევნო კომისიის სხდომის მოწვევის შესაბამისად.

თ ა ვ ი III. რ ე ქ ტ ო რ ო ბ ი ს კ ა ნ დ ი დ ა ტ თ ა რ ე გ ი ს ტ რ ა ც ი ა

მ უ ხ ლ ი 14. კანდიდატთა რეგისტრაცია მიმდინარეობს დადგენილი ვადის განმავლობაში თსუ–ის კანცელარიაში. კანდიდატების განაცხადი, თანდართული დოკუმენტაციით, გადაეცემა საარჩევნო კომისიას, რომელიც ამოწმებს წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისობას დადგენილ მოთხოვნებთან. იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილ დოკუმენტაციში დადგინდება ხარვეზი, საარჩევნო კომისია მიმართავს კანდიდატს ხარვეზის გამოსწორების მოთხოვნით, რისთვისაც მას ეძლევა 3 სამუშაო დღის ვადა. საარჩევნო კომისია ვალდებულია წერილობით მიუთითოს, თუ რა ხარვეზს შეიცავს წარმოდგენილი დოკუმენტაცია. თუ ხარვეზი არ იქნა გამოსწორებული დადგენილ ვადაში, საარჩევნო კომისია უფლებამოსილია, უარი უთხრას კანდიდატს რეგისტრაციაში გატარებაზე. საარჩევნო კომისიის უარი რეგისტრაციაზე კანდიდატის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს 1 დღის ვადაში. კანდიდატთა რეგისტრაციის დასრულების შემდგომ ყველა საჭირო დოკუმენტაციას საარჩევნო კომისია გადასცემს აკადემიურ საბჭოს.

მ უ ხ ლ ი 15. საარჩევნო კომისია კანდიდატის რეგისტრაციაში გატარების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემდგომ გასცემს რეგისტრაციაში გატარების დამადასტურებელ დოკუმენტს. საარჩევნო კომისია უზრუნველყოფს კანდიდატთა რეგისტრაციის შესახებ ინფორმაციის საჯაროდ განთავსებას.

თ ა ვ ი IV. ს ა ა რ ჩ ე ვ ნ ო პ რ ო ც ე დ უ რ ე ბ ი

მ უ ხ ლ ი 16. კენჭისყრის პროცედურა საჯაროა და მასზე დასწრების უფლება აქვს ნებისმიერ აკრედიტებულ პირს.

მ უ ხ ლ ი 17. ხმის მიცემის პროცედურა ხორციელდება საარჩევნო დღეს და ის იწყება 14:00 საათზე და სრულდება 16:00 საათზე ან, საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით, ყველა ამომრჩევლის კენჭისყრაში მონაწილეობის მიღების შემდეგ.

მ უ ხ ლ ი 18. ფარული კენჭისყრისათვის უნდა მოეწყოს კაბინა, რომლის ფორმას განსაზღვრავს საარჩევნო კომისია. უნდა გამოიყოს ადგილი ამომრჩეველთა რეგისტრაციისა და საარჩევნო ბიულეტენების დამოწმებისათვის. გამჭვირვალე საარჩევნო ყუთი უნდა იდგეს თვალსაჩინო ადგილზე.

მ უ ხ ლ ი 19. საარჩევნო კომისიამ თვალსაჩინო ადგილას უნდა გამოაკრას კანდიდატთა და ამომრჩეველთა სიები, საარჩევნო ბიულეტენის შევსების წესი, ბიულეტენის ბათილობის საფუძვლები და საამისო მოთხოვნის შესახებ განცხადების ნიმუში და კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი.

მ უ ხ ლ ი 20. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ხელმოწერით დადასტურებული საარჩევნო ბიულეტენი გაიცემა ამომრჩეველთა სიის საფუძველზე, პირადობის მოწმობის წარდგენის შემდეგ.

მ უ ხ ლ ი 21. ბიულეტენის გაცემა დასტურდება ამომრჩეველთა სიაში მდივნის ხელმოწერით. ამომრჩეველი საარჩევნო ბიულეტენის მიღებას ადასტურებს ამომრჩეველთა სიაში ხელმოწერით.

მ უ ხ ლ ი 22. თითოეული ამომრჩეველი ხმას აძლევს პირადად, დაუშვებელია ხმის მიცემა სხვა პირის ნაცვლად.

მ უ ხ ლ ი 23. ხმის მიცემის პროცედურა ტარდება შემდეგი წესისა და თანამიმდევრობის დაცვით:
ა) კენჭისყრის ოთახში შესული ამომრჩეველი მიდის სარეგისტრაციო მაგიდასთან და წარადგენს პირადობის მოწმობას;
ბ) მდივანი ამომრჩეველის სიაში ყოფნის დადასტურების შემთხვევაში ამომრჩეველთა სიაში ხელმოწერით ადასტურებს საარჩევნო ბიულეტენის გაცემას და ხელს აწერს ბიულეტენს;
გ) შემდეგ ამომრჩეველი შედის ფარული კენჭისყრის კაბინაში და ავსებს ბიულეტენს. ბიულეტენის შევსების შემდეგ ამომრჩეველმა ის ისე უნდა დაკეცოს, რომ არ ჩანდეს, ვის მისცა ხმა;
დ) შემდეგ ამომრჩეველი დებს ბიულეტენს კონვერტში და ათავსებს მას საარჩევნო ყუთში;
ე) საარჩევნო ყუთთან ერთდროულად ერთზე მეტი ამომრჩევლის მისვლა იკრძალება.

მ უ ხ ლ ი 24. თუ ამომრჩეველს გაუფუჭდა საარჩევნო ბიულეტენი მან ამის შესახებ უნდა აცნობოს საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, ჩააბაროს გაფუჭებული ბიულეტენი და მიიღოს ახალი ბიულეტენი. გაფუჭებულ ბიულეტენს ამომრჩევლის თანდასწრებით ჩამოეჭრება კუთხე და დაეწერება, გაფუჭებულია.

მ უ ხ ლ ი 25. კენჭისყრის პროცედურის დასრულების შემდეგ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და მდივანი თვალსაჩინო ადგილას ხსნიან საარჩევნო ყუთს, ითვლიან ხმებს. საარჩევნო კომისიის მდივანს მონაცემები შეაქვს შემაჯამებელ ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ საარჩევნო კომისიის წევრები. არჩევნების შედეგებს აცხადებს საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.

მ უ ხ ლ ი 26. საჭიროების შემთხვევაში საარჩევნო კომისია ნიშნავს მეორე ტურს შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 2 საათიანი შესვენების შემდეგ.

მ უ ხ ლ ი 27. არჩევნების დასრულების შემდგომ საარჩევნო დოკუმენტაცია შესანახად გადაეცემა თსუ–ის კანცელარიას.

მ უ ხ ლ ი 28. არჩევნების შედეგები შესაძლოა გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლოში.

მ უ ხ ლ ი 29. საარჩევნო კომისიის უფლებამოსილება წყდება არჩევნებთან დაკავშირებული ყველა პროცედურის ამოწურვისთანავე.